

დამტკიცებულია
კოლეჯის დირექტორის
ბრძანებით N1/23
29.07. 2019 წელი

განხორციელდა ცვლილება
დირექტორის ბრძანებით N1/25, პუნქტი 2
20.05.2020

განხორციელდა ცვლილება
დირექტორის ბრძანებით N1/79
11.10. 2022 წელი

საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ქ.გორის სულხან ცინცაძის სახელობის სამუსიკო კოლეჯი
პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მუსიკის რეპეტიტორი

კვალიფიკაციის კოდი: 0215

უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია სამუსიკო ხელოვნებაში / Higher Vocational Qualification in Music Art

საკონტაქტო ინფორმაცია:

ქ.გორი, სამეფო ქ.#17

ტელ.0 370 273511

მობ. 599552273

საიდენტიფიკაციო კოდი 218083302

პროგრამის ხელმძღვანელი-თამარ მშვიდლობაძე

ქ.გორი
2022 წელი

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის (შემდგომში - ჩარჩო დოკუმენტი) სახელწოდება ქართულ და ინგლისურ ენაზე - რომლის საფუძველზეც შექმნილია პროგრამა: სამუსიკო ხელოვნება / Music Art
2. სარეგისტრაციო ნომერი: 02128-3
3. მისანიჭებელი კვალიფიკაცია ქართულ და ინგლისურ ენაზე - უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია სამუსიკო ხელოვნებაში / Higher Vocational Qualification in Music Art

აღნიშნული კვალიფიკაცია განათლების საერთაშორისო კლასიფიკატორის ISCED-ის მიხედვით განეკუთვნება დეტალურ სფეროს - „მუსიკა და სამემსრულებლო ხელოვნება“, კოდი 0215, აღმწერი - „შეისწავლის სამემსრულებლო ხელოვნებასთან (მუსიკა, მეტყველება, მოძრაობა, მიმიკა, ხასიათის შექმნა, იმპროვიზირება და სასცენო ოსტატობა) ასოცირებულ პრინციპებსა და ტექნიკას/მეთოდებს.“

4. მიზანი

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მუსიკის რეპეტიტორის მიზანია, კვალიფიციური კადრის მომზადება, რომელსაც შეუძლია პროფესიულ დონეზე ფორტეპიანოზე დაკვრა, სოლისტი-ვოკალისტისა და ვოკალური ანსამბლის აკომპანირება, საგანმანათლებლო და სარეპეტიციო საქმიანობის განხორციელება სარეპეტიციო პროცესის წარმართვისას ან სარეპეტიციო პროცესის მიმდინარეობისას, მუსიკისადმი ემოციურ-ფასეულობით მიდგომის ჩამოყალიბება და განვითარება, მხატვრული გემოვნების, წარმოსახვის უნარის, მხატვრული აზროვნების, სამემსრულებლო ჩვევების, შემოქმედებით უნარების განვითარება.

5. დაშვების წინაპირობები - სრული ზოგადი განათლება, შემოქმედებითი ტური.

6. დასაქმების სფერო და შესაძლებლობები.

სამუსიკო ხელოვნების უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაციის მფლობელს შეუძლია დასაქმდეს საჯარო ან/და კერძო სექტორში, როგორც მცირე, ისე საშუალო და მსხვილ ორგანიზაციებში, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებში, სკოლისგარეშე სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულებებში (დაწყებითი საფეხური), სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში, მუსიკალურ და თეატრალურ სტუდიებში, შემოქმედებით კოლექტივებში. ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში (მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის გავლის შემდეგ), მუსიკალურ, სახელოვნებო ან/და ფართო პროფილის ორგანიზაციაში, ტელევიზია, კინოწარმოება, თეატრი, მუსიკალური სასწავლო სტუდია, თეატრალური სასწავლო სტუდია, ხმის ჩამწერი სტუდია, საპროდიუსერო ცენტრი, ასევე შეუძლია, იყოს თვითდასაქმებული და ეწეოდეს კერძო პროფესიულ პრაქტიკას.

- ეკონომიკური საქმიანობების სახეების ეროვნული კლასიფიკატორის კოდი: 85.52.0
- დასაქმების საერთაშორისო კლასიფიკატორი (ISCO) კოდი: 2652, 2354

7. სტრუქტურა და მოდულები

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მუსიკის რეპეტიტორი შეესაბამება „სამუსიკო ხელოვნების“ ჩარჩო დოკუმენტის კვალიფიკაციას მუსიკის რეპეტიტორის“ კონცენტრაციის საფუძველზე მუსიკის რეპეტიტორის კონცენტრაციის გავლის შემთხვევაში, უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაციის მისანიჭებლად სტუდენტმა უნდა დააგროვოს ჯამურად 108 კრედიტი, რომელთაგან 11 კრედიტი არის ზოგადი მოდულები, 53 კრედიტი არის საერთო პროფესიული მოდულები, 35 კრედიტი არის კონცენტრაციის მოდულები, ასევე, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „მუსიკის რეპეტიტორი“ მოიცავს 3 არჩევით მოდულს ჯამურად 9 კრედიტის მოცულობით.

მოდულების, ქართული ენა A2 და ქართული ენა B1 გავლა სავალდებულოა მხოლოდ იმ პროფესიული სტუდენტებისათვის, რომლებმაც პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება მოიპოვეს „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 02 ივლისის N42/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესით გათვალისწინებულ რუსულ, აზერბაიჯანულ ან სომხურ ენაზე ტესტირების გზით. აღნიშნული პირებისათვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულებით. შესაბამისად:

- ქართულენოვანი სტუდენტებისათვის
 - პროგრამის მოცულობაა 108 კრედიტი, •
ხანგრძლივობა 20 თვე
- არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის
 - პროგრამის მოცულობაა 138 კრედიტი,
 - ხანგრძლივობა 25 თვე

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მუსიკის რეპეტიტორი		
ზოგადი მოდულები		
№	მოდულის დასახელება	კრედიტი
1	ინფორმაციული წიგნიერება 2	3
2	მეწარმეობა 3	3
3	უცხოური ენა	5
სულ:		11

საერთო პროფესიული მოდულები		
№	მოდულის დასახელება	კრედიტი
1	ფორტეპიანო 1	10
2	ვოკალის აკომპანემენტი 1	10
3	ვოკალური ანსამბლის აკომპანემენტი	6
4	მუსიკალური სმენის განვითარება	6
5	მუსიკის გამომსახველობითი ხერხების შესწავლა	6
6	საზღვარგარეთის მუსიკის მოსმენა და აღქმა	6
7	ქართული პროფესიული მუსიკის მოსმენა და აღქმა	3
8	გერმანული ენა გუნდის მომღერლისათვის	2
9	რუსული ენა გუნდის მომღერლისათვის	2
10	იტალიური ენა გუნდის მომღერლისათვის	2
სულ:		53
კონცენტრაცია მუსიკის რეპეტიტორის მოდულები		
№	მოდულის დასახელება	კრედიტი
1	გაცნობითი პრაქტიკა- მუსიკის რეპეტიტორი	2
2	საწარმოო პრაქტიკა - მუსიკის რეპეტიტორი	12
3	პრაქტიკული პროექტი - მუსიკის რეპეტიტორი	6
4	შემოქმედებითი ღონისძიების განხორციელება	4
5	საგანმანათლებლო პროცესის მეთოდური უზრუნველყოფა	6
6	ქართული მუსიკალური ფოლკლორის შესწავლა	5
სულ:		35
არჩევითი მოდულები		
1	მუსიკალური კომპიუტერული პროგრამები (Finale)	3
2	პოპულარული მუსიკის მოსმენა და აღქმა	3

3	სიმფონიური ორკესტრის საკრავები	3
სულ:		9
ჯამი		108

8. სწავლის შედეგები:

მუსიკის რეპეტიტორი კურსდამთავრებულს შეუძლია:

1. უზრუნველყოს საგანმანათლებლო პროცესი მეთოდურად;
2. გამოუმუშაოს მოსწავლეს მუსიკალური უნარ-ჩვევები;
3. გამოუმუშაოს მოსწავლეს საშემსრულებლო ჩვევები;
4. წარმართოს სარეპეტიციო პროცესი;
5. განახორციელოს შემოქმედებითი ღონისძიებები
6. იზრუნოს პროფესიულ განვითარებაზე
7. მოახდინოს სამუშაოს დამოუკიდებლად ორგანიზება

9. ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება

სსიპ-ქ.გორის სულხან ცინცაძის სახელობის სამუსიკო კოლეჯში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „მუსიკის რეპეტიტორი“ შემუშავებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სამუსიკო ხელოვნება / Music Art ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შემუშავებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ითვალისწინებს არჩევითი სტატუსის მოდულებს ამავე ჩარჩო დოკუმენტის მოდულების კრედიტთა მოცულობის არა უმეტეს 20 %-ისა.

10. სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურება და კრედიტის მინიჭება.

კრედიტი მიენიჭება სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურების საფუძველზე. სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურება შესაძლებელია:

- ა) წინმსწრები ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარებით;
- ბ) არაფორმალური განათლების გზით მიღწეული სწავლის შედეგების აღიარება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;
- გ) სწავლის შედეგების დადასტურება შეფასების გზით. არსებობს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება.

განმავითარებელი შეფასება შესაძლოა განხორციელდეს როგორც ქულების, ასევე ჩათვლის პრინციპების გამოყენებით. განმსაზღვრელი შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:

ა) სწავლის შედეგი დადასტურდა;

ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა.

განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში სტუდენტს უფლება აქვს პროგრამის დასრულებამდე მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება. შეფასების მეთოდი/მეთოდები რეკომენდაციის სახით მოცემულია მოდულებში.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მუსიკის რეპეტიტორი მოდულების, სწავლის შედეგებისა და თემატიკის კომპონენტებში ითვალისწინებს რვა საკვანძო კომპეტენციის განვითარებას (მშობლიურ ენაზე კომუნიკაცია; უცხო ენაზე კომუნიკაცია; მათემატიკური კომპეტენცია; ციფრული კომპეტენცია; დამოუკიდებლად სწავლის უნარი; პიროვნებათმორისი, კულტურათაშორისი, სოციალური და მოქალაქეობრივი კომპეტენციები; მეწარმეობა და კულტურული გამომხატველობა), რომლებიც მნიშვნელოვანია პროფესიონალი და კონკურენტუნარიანი კადრის აღზრდისთვის. რვა საკვანძო კომპეტენციიდან ერთ-ერთი - მშობლიური/პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლების ძირითადი ენის განვითარების მიზნით, თითოეული პროფესიული განათლების მასწავლებლის მიერ სწავლება-სწავლის პროცესში უნდა შეფასდეს ზეპირი და წერილობითი კომუნიკაციის უნარი, კერძოდ, მართლწერისა და მართლმეტყველების წესების დაცვა შემდეგი კომპეტენციების ფარგლების გათვალისწინებით:

მართლმეტყველება

- საუბრის/პრეზენტაციის დროის ლიმიტის დაცვა;
- სათანადო პროფესიული ლექსიკის გამოყენება;
- მოსაზრების ჩამოყალიბება გასაგებად, ნათლად და თანამიმდევრულად;
- ადეკვატური მაგალითებისა და არგუმენტების მოყვანა;
- ზეპირი მსჯელობისთვის დამახასიათებელი არავერბალური საშუალებების ადეკვატურად გამოყენება (მაგ., ქესტიკულაცია, ინტერვალი საუბარში, ხმის ტემბრის ცვალებადობა).
- მართლწერა
- საკავშირებელი სიტყვების სწორად გამოყენება;
- ძირითადი სასვენი ნიშნების (წერტილი, კითხვისა და ძახილის ნიშნები) სწორად გამოყენება;
- პროფესიული ლექსიკის სათანადოდ გამოყენება;
- წერისას ტიპობრივი სტილისტური ხარვეზების აღმოფხვრა;
- არ უნდა იქნეს გამოყენებული ენისთვის არაბუნებრივი შესიტყვებები და ლექსიკა - ბარბარიზმები, ჟარგონები;
- ინფორმაციის გადმოცემა თანამიმდევრულად, გასაგებად, შესასრულებელი აქტივობის შესაბამისად.

11. პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭება პროფესიული კვალიფიკაციის მოსაპოვებლად სტუდენტმა უნდა დააგროვოს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრული მოდულებით გათვალისწინებული კრედიტები.

12. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) სტუდენტების სწავლებისათვის

შეზღუდული შესაძლებლობისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართულობის უზრუნველყოფის მიზნით ასეთი პირები მოდულებზე დაიშვებიან მოდულის წინაპირობის/წინაპირობების დამლევის გარეშე.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული კრედიტები პირს ენიჭება მხოლოდ შესაბამისი სწავლის შედეგების დადასტურების შემთხვევაში, ხოლო კვალიფიკაცია - მე-11 პუნქტით გათვალისწინებული წესით.

დანართი №1 - სასწავლო გეგმა (არაქართულენოვანი და ქართულენოვანი სტუდენტებისათვის)
დანართი N2 მოდულები:

- 2.1. ინფორმაციული წიგნიერება 2
- 2.2. მეწარმეობა 3
- 2.3. ინგლისური ენა
- 2.4. გაცნობითი პრაქტიკა- მუსიკის რეპეტიტორი
- 2.5. საწარმოო პრაქტიკა - მუსიკის რეპეტიტორი
- 2.6. პრაქტიკული პროექტი - მუსიკის რეპეტიტორი
- 2.7. ვოკალის აკომპანემენტი 1
- 2.8. ვოკალური ანსამბლის აკომპანემენტი
- 2.9. ფორტეპიანო 1
- 2.10. შემოქმედებითი ღონისძიებების განხორციელება
- 2.11. საგანმანათლებლო პროცესის მეთოდური უზრუნველყოფა
- 2.12. მუსიკალური სემინის განვითარება
- 2.13. მუსიკის გამომსახველობითი ხერხების შესწავლა
- 2.14. საზღვარგარეთის მუსიკის მოსმენა და აღქმა
- 2.15. ქართული პროფესიული მუსიკის მოსმენა და აღქმა
- 2.16. ქართული მუსიკალური ფოლკლორის შესწავლა
- 2.17. გერმანული ენა გუნდის მომღერლისათვის

- 2.18. რუსული ენა გუნდის მომღერლისათვის A1 (არასრული)
- 2.19. იტალიური ენა გუნდის მომღერლისათვის A1 (არასრული)
- 2.20. მუსიკალური კომპიუტერული პროგრამები (Finale)
- 2.21. პოპულარული მუსიკის მოსმენა და აღქმა
- 2.22. სიმფონიური ორკესტრის საკრავები
- 2.23. ქართული ენა A2
- 2.24. ქართული ენა B1

დანართი N3 - ინფორმაცია პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის თაობაზე
დანართი N4-5 სასწავლო გარემო და მინიმალური მატერიალური რესურსი